2015-2016 სასწავლო წელი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია ფსიქოლოგიის მეცნიერებაში და მის სხვადასხვა დარგებში ფუნდამენტური ცოდნის შეძენა და ამ ცოდნის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში გამოყენება. საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ადამიანის ფსიქიკისა და ქცევის ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებს, ასევე ფსიქიკის განვითარების, ინდივიდის სოციალური ფუნქციონირებისა და ურთიერთობის, პიროვნების ფსიქოლოგიის, ნორმიდან გადახრის კანონზომიერებებს. სტუდენტები დაეუფლებიან ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდებს, ექსპერიმენტული ფსიქოლოგიისა და ფსიქოდიაგნოსტიკის თეორიულ პრინციპებსა და პრაქტიკულ ჩვევებს. საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან ფსიქოლოგიის ისეთ დარგებს, როგორებიცაა განვითარების ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, ფსიქოლოგიური კონსულტირება, ფსიქოდიაგნოსტიკა, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია, ნეიროფსიქოლოგია, ასევე განწყობის ფსიქოლოგია - ქართული ფსიქოლოგიური სკოლის მონაპოვარი.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, ანუ ფსიქოლოგიური მეცნიერებების საგნები, 120 კრედიტს მოიცავს, რომლებიც დონეების მიხედვით არის განაწილებული:
I დონეზე სტუდენტმა უნდა აიღოს 20 კრედიტი, II დონეზე 60 კრედიტი და III დონეზე 40 კრედიტი. სასწავლო გეგმა შედგება სავალდებულო და არჩევითი საგნებისგან.
სავალდებულო საგანი – სტუდენტმა აუცილებლად უნდა აიღოს ამ საგნის კრედიტი.
არჩევითი საგანი – სტუდენტმა შეიძლება არჩევითი საგნებიდან ამოირჩიოს მისთვის უფრო საინტერესო და მიმზიდველი საგანი არჩევითი საგნებისთვის განკუთვნილი კრედიტების ფარგლებში.

წელიწადში სტუდენტს შეუძლია აიღოს 60–65 კრედიტი. შესაბამისად, სემესტრში შესაძლებელია 30–35 კრედიტის აღება, თუმცა კრედიტების რაოდენობამ 65–ს არ უნდა გადააჭარბოს. მხოლოდ დამამთავრებელი, მე–8 სემესტრის სტუდენტებს შეუძლიათ აიღონ 40 კრედიტი, თუ უკვე დაგროვილი აქვთ 200 კრედიტი.
მე–5 სემესტრიდან სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ თავისუფალი კრედიტები პროგრამაში წარმოდგენილი ფსიქოლოგიური თავისუფალი არჩევითი საგნების ჩამონათვალიდან.

სტუდენტს შეუძლია აღოს დამატებითი პროგრამა (მაინორი) 60 კრედიტი თსუ–ს ნებისმიერი ფაკულტეტიდან მისთვის საინტერესო სფეროს მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს არ აქვს მაინორის აღების სურვილი, მან შეიძლება დარჩენილი კრედიტები შეავსოს მისთვის საინტერესო საგნებით ფსიქოლოგიაში.

საბაკალავრო საფეხურის სტუდენტები, რომლებიც წარმოადგენენ უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს, თსუ–ს ენების ცენტრის დასკვნის საფუძველზე თავისუფლდებიან ინგლისური ენის სავალდებულო 10 კრედიტისგან და ეს სავალდებულო კრედიტები უნდა შეავსონ თავისუფალი კრედიტებით.

პირველ დონეზე სტუდენტი ეუფლება იმ საბაზისო ცოდნას, რაც მას ესაჭიროება ფსიქოლოგიური მეცნიერებების წარმატებით შესასწავლად. ამ დონეზე სტუდენტი შეისწავლის როგორც ფსიქოლოგიის ძირითად, საბაზისო საგნებს, ასევე მონათესავე მეცნიერებებსაც, რაც მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური ცოდნის მისაღებად. ამიტომ ამ დონეზე სავალდებულო და არჩევითი კურსები საბაზისო კურსებია.

დონე	კრედიტი	სფერო	სავალდებულო	არჩევითი
I	20	ფსიქოლოგია	ფსიქოლოგიის საფუძვლები 1 ფსიქოლოგიის საფუძვლები 2 კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 1 კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 2	
	30	სხვა მეცნიერებები	შესავალი სოციალოგიაში სტატისტიკა 1 სტატისტიკა 2 აკადემიური წერა ინგლისური ენა 1 ინგლისური ენა 2	
	10			შესავალი ანთროპოლოგიაში შესავალი სოციალურ მუშაობაში შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებაში შესავალი პედაგოგიკაში ლოგიკა და კრიტიკული აზროვნება მსოფლმხედველობრივი პარადიგმები

შესაბამისად, პირველი წლის განმავლობაში სტუდენტმა უნდა აიღოს:

- 20 კრედიტი ფსიქოლოგიის საბაზისო სავალდებულო საგნები
- 10 კრედიტი არჩევითი საბაზისო საგანი;
- 30 კრედიტი სხვა მეცნიერებების სავალდებულო საგნები, რაც აუცილებელია ფსიქოლოგის პროფესიული საქმიანობისთვის.

მეორე დონეზე სტუდენტები დაეუფლებიან ფუნდამენტურ ცოდნას საკუთრივ ფსიქოლოგიის მეცნიერებაში, შეისწავლიან ადამიანის ფსიქიკის ზოგად კანონზომიერებებს ფსიქოლოგიის დარგების მიხედვით და ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლებს.

დონე	კრედიტი	სფერო	სავალდებულო მაპროფილებელი	არჩევითი მაპროფილებელი
II	60	ფსიქოლოგია	კოგნიტური ფსიქოლოგია 1,2 სოციალური ფსიქოლოგია 1,2 განვითარების ფსიქოლოგია 1,2 პიროვნების ფსიქოლოგია 1,2 ექსპერიმენტული ფსიქოლოგია 1,2 შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია განათლების ფსიქოლოგია	
	5			გამოყენებითი ქცევითი ანალიზი

შესაბამისად, მეორე დონეზე, სტუდენტმა უნდა დააგროვოს 60 კრედიტი ფსიქოლოგიის მეცნიერებებში, ანუ შეისწავლოს სპეციალობისათვის მაპროფილებელი საგნები. ყველა საგანი სავალდებულოა.
სტუდენტს შეუძლია დამატებით აირჩიოს ერთი არჩევითი მაპროფილებელი საგანი –5 კრედიტი.

მესამე დონეზე სტუდენტები იღებენ ცოდნას ფსიქოლოგიური დარგების მიხედვით. შესაბამისად, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში წარმოდგენილია ხუთი კონცენტრაცია ფსიქოლოგიის დეპარტამენტის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტების მიხედვით: პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგია, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგია.

ამ დონეზე სტუდენტებისთვის სავალდებულოა დამოუკიდებელი კვლევის ჩატარება და განწყობის ფსიქოლოგია.

დონე	კრედიტი	სფერო	სავალდებულო მაპროფილებელი	არჩევითი მაპროფილებელი
III	15	ფსიქოლოგია	კვლევითი ნაშრომი განწყობის ფსიქოლოგია 1,2	
	5–10	ფსიქოლოგიის დარგები	პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგიის კონცენტრაცია: ქცევის ფიზიოლოგიური საფუძვლები. შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის კონცენტრაცია: ადამიანური რესურსის მენეჯმენტი, ორგანიზაციული ქცევა. სოციალური ფსიქოლოგიის კონცენტრაცია: მცირე ჯგუფების ფსიქოლოგია კულტურული ფსიქოლოგია განათლების ფსიქოლოგიის კონცენტრაცია: სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფსიქოლოგია, სასკოლო ასაკის ბავშვის ფსიქოლოგია. კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის კონცენტრაცია: ნეიროფსიქოლოგიის საფუძვლები ბავშვის განვითარების დარღვევები	
	15–20			კონცენტრაციის საგნების რეკომენდებული ჩამონათვალიდან

ყველა კონცენტრაცია არჩევითი საგნებისგან შედგება. ამავე დროს, ყოველი კონცენტრაციის არჩევითი საგნების ჩამონათვალიდან კონცენტრაციისათვის სავალდებულო საგნებისათვის გამოიყოფა 10 კრედიტი, პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგიისათვის 5 კრედიტი. დანარჩენი 15 კრედიტი (პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგიისათვის –20 კრედიტი) სტუდენტს შეუძლია ამოირჩიოს კონცენტრაციისათვის რეკომენდებული საგნების ჩამონათვალიდან.

შესაბამისად, მესამე დონეზე სტუდენტმა უნდა აიღოს 15 კრედიტის სავალდებულო საგნები და 25 კრედიტის საგნები არჩეული კონცენტრაციიდან.

მესამე დონეზე ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა აიღონ თავისუფალი კრედიტები თავიანთი ინტერესის მიხედვით.

დონე	კრედიტი	სფერო	თავისუფალი არჩევითი	
III		ფსიქოლოგიის დარგები	პათოფსიქოლოგია ფსიქოლოგიის ისტორია ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმართულებები საგამოძიებო საქმიანობის ფსიქოლოგიური ასპექტები ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია გამოცდილებითი სწავლა – სწავლების მეთოდები სოციალური უნარების ტრენინგი	

დამატებითი პროგრამა ფსიქოლოგიაში (მაინორი).

ნებისმიერი ფაკულტეტის სტუდენტს შეუძლია აირჩიოს დამატებითი პროგრამა (მაინორი) ფსიქოლოგიაში ძირითად პროგრამაზე სწავლების მეორე წლიდან.

დამატებით პროგრამაში სტუდენტებმა უნდა დააგროვონ 60 კრედიტი.
დამატებით პროგრამაში (მაინორი) 20 კრედიტია საბაზისო სავალდებულო:

- ფსიქოლოგიის საფუძვლები 1,2
- კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 1,2

20 კრედიტი მაპროფილებელია ფსიქოლოგიის რომელიმე 2 დარგის მიხედვით და ამიტომ ეს საგნები სავალდებულო–არჩევითია. სტუდენტმა მაპროფილებელი საგნების ჩამონათვალიდან უნდა აირჩიოს ორი ორსემესტრიანი საგანი და უნდა გაიაროს არჩეული საგნის ორივე ნაწილი – 1 და 2.

დანარჩენი 20 კრედიტი სტუდენტს შეუძლია აირჩიოს როგორც კონცენტრაციიდან, ასევე პროგრამაში წარმოდგენილი თავისუფალი კრედიტებიდან.

სასწავლო პროცესის მართვის შესახებ დამატებით, საჭირო ინფორმაციას სტუდენტები გაეცნობიან თსუ ბაკალავრიატის გზამკვლევსა და თსუ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, ჩვენს ვებ-გვერდზე: https://www.tsu.ge/ge/faculties/psychology, განყოფილებებში: „სწავლა“ და „ჩვენს შესახებ“ - სამართლებრივი აქტები.

ცვლილებები კურიკულუმში მეორე და მესამე დონის სტუდენტებისთვის:
2015-2016 სასწავლო წლის კურიკულუმში მეორე დონეზე სავალდებულო გახდა „განათლების ფსიქოლოგია“, გადმოტანილია „ექსპერიმენტული ფსიქოლოგია“ მესამე დონიდან და კურსების „შესავალი ფსიქოლოგიაში“ და „ფსიქოლოგიის საფუძვლების“ ნაცვლად სავალდებულო საგნად ისწავლიან „ფსიქოლოგიის საფუძვლები 1 და 2“
შესაბამისად, მეორე დონის სტუდენტები:

- ვისაც გავლილი აქვს შესავალი, I სემესტრში აიღებენ მხოლოდ „ფსიქოლოგიის საფუძვლები 1“.
- II სემესტრში აიღებენ „განათლების ფსიქოლოგიის“ 5 კრედიტიანი საგანს II სემესტრში.
- I და II სემესტრში აიღებენ სავალდებულოდ „ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიას 1 და 2“, კვირაში 2 საათი.

2015-2016 სასწავლო წელს, მესამე დონის სტუდენტებისთვის არ იცვლება კურიკულუმი და ისინი ისევ შეძლებენ აირჩიონ განათლების ფსიქოლოგია I სემესტრში, ხოლო სავალდებულოდ აიღებენ „ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის“ ერთსემესტრიან კურსს, კვირაში 4 საათი, ორივე სემესტრში.